სადაზღვევო საქმის საფუძვლები.
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

სადაზღვევო გარიგებაში მონაწილეობენ:

Select one:

a. სიურვეიერი; დაზღვეული; დამზღვევი; მზღვეველი; სადაზღვევო აგენტი;

b. ანდერრაიტერი; დაზღვეული; დამზღვევი; მზღვეველი; სადაზღვევო აგენტი.

c. დაზღვეული; დამზღვევი; მზღვეველი; სადაზღვევო აგენტი; მოსარგებლე;

d. დაზღვეული; დამზღვევი; მზღვეველი; სადაზღვევო აგენტი; აქტუარები;

Question 2

რისკების არასასურველი და ნეგატიური ხასიათის გამო დაზღვეული ვალდებულია განახორციელოს რისკების მართვასთან დაკავშირებული ქმედებები, როგორიცაა

Select one:

a. რისკების შემცირება და თავიდან აცილება; რისკების დაზღვევა და თვითდაზღვევა;

b. რისკების დივერსიფიკაცია; რისკების დაზღვევა და თვითდაზღვევა;

c. რისკების შემცირება და თავიდან აცილება; რისკების დივერსიფიკაცია;

d. რისკების შემცირება და თავიდან აცილება; საინვესტიციო საქმიანობა.

Question 3

სადაზღვევო პრაქტიკაში განასხვავებენ დაზღვევის შემდეგ დარგებს (სახეობებს)

Select one:

a. ტვირთების დაზღვევა; პირადი დაზღვევა; პასუხისმგებლობის დაზღვევა; ეკონომიკური რისკების დაზღვევა;

b. ქონების დაზღვევა; ჯანმრთელობის დაზღვევა; პასუხისმგებლობის დაზღვევა; ეკონომიკური რისკების დაზღვევა;

c. ქონების დაზღვევა; პირადი დაზღვევა; პასუხისმგებლობის დაზღვევა; ეკონომიკური რისკების დაზღვევა.

d. ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა; პირადი დაზღვევა; პასუხისმგებლობის დაზღვევა; ეკონომიკური რისკების დაზღვევა;

Question 4

სადაზღვევო სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოებია:

Select one:

a. აქციონერთა საერთო კრება; სამეთვალყურეო საბჭო; ფინანსური დირექტორი;

b. აქციონერთა საერთო კრება; სამეთვალყურეო საბჭო; გენერალური დირექტორი;

c. აქციონერთა საერთო კრება; გენერალური დირექტორი; გამგეობა (დირექტორატი).

d. აქციონერთა საერთო კრება; სამეთვალყურეო საბჭო; გამგეობა (დირექტორატი);

Question 5

დაგროვებითი დაზღვევა ფიქსირებული თარიღისათვის - მიეკუთვნება

Select one:

a. პასუხისმგებლობის დაზღვევას;

b. ქონების დაზღვევას;

c. პირად დაზღვევას;

d. ეკონომიკური რისკების დაზღვევას.

Question 6

სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება ანაზღაურდება

Select one:

a. რემონტს დამატებული ახალი დეტალების ღირებულება;

b. მისი ღირებულების მიხედვით;

c. რემონტს გამოკლებული ახალი დეტალების ღირებულება;

d. რემონტს დამატებული ცვეთის ხარჯები.

Question 7

პასუხისმგებლობის დაზღვევაში სადაზღვევო გადახდა წარმოებს მხოლოდ წინასწარ დადგენილი სადაზღვევო თანხის ფარგლებში და მას ეწოდება

Select one:

a. დამზღვევის პასუხისმგებლობის ლიმიტი;

b. გადამზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი;

c. დაზღვეულის პასუხისმგებლობის ლიმიტი;

d. მოსარგებლის პასუხისმგებლობის ლიმიტი.

Question 8

წილობრივი (ქვოტური) გადაზღვევა გულისხმობს

Select one:

a. გადაცემული ყოველი რისკისათვის მოქმედებს სადაზღვევო თანხასა და ზარალში მონაწილეობის ერთი და იგივე წილი;

b. გადაცემული ყოველი რისკისათვის მოქმედებს პრემიასა და ზარალში მონაწილეობის განსხვავებული წილი;

c. გადაცემული ყოველი რისკისათვის მოქმედებს სადაზღვევო თანხასა და ზარალში მონაწილეობის განსხვავებული წილი.

d. გადაცემული ყოველი რისკისათვის მოქმედებს პრემიასა და ზარალში მონაწილეობის ერთი და იგივე წილი;

Question 9

რისკების შესახებ ინფორმაციის უმთავრესი წყაროა

Select one:

a. განაცხადი-ანკეტა;

b. სადაზღვევო პოლისი;

c. ზარალების სარეგისტრაციო ფორმა;

d. სუბროგაციის აქტი.

Question 10

სადაზღვევო კომპანიის მინიმალური საწესდებო კაპიტალის სიდიდე განისაზღვრება

Select one:

a. აქციონერების მიერ;

b. გამგეობის მიერ.

c. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;

d. მარეგულირებელი ორგანოს მიერ;

Question 11

კანონის „დაზღვევის შესახებ" თანახმად, საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიებისათვის საწესდებო კაპიტალის სიდიდე დროთა განმავლობაში

Select one:

a. იზრდებოდა;

b. უცვლელი იყო;

c. იცვლებოდა ინფლაციის გათვალისწინებით.

d. მცირდებოდა;

Question 12

საქართველოს სადაზღვევო ბაზარმა განვლო წარმოშობისა და განვითარების შემდეგი ეტაპები:

Select one:

a. 1. 1989-96 წლები; 2. 1997-დან დღემდე პერიოდი;

b. 1. 1989-96 წლები; 2. 1997-2012 წლები;

c. 1. 1989-96 წლები; 2. 1997- 2003 წლები;

d. 1. 1989- 1997 წლები; 1998 – 2012 წლები.

Question 13

სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიაში მითითებული უნდა იყოს

Select one:

a. აქციონერების უფლებები და ვალდებულებები.

b. დაზღვევის მონაწილეების ულებები;

c. დაზღვევის მონაწილეების ვალდებულებები;

d. დაზღვევის სახეობები, რომელიც უნდა განახორციელოს სადაზღვევო კომპანიამ;

Question 14

საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია

Select one:

a. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე;

b. საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე;

c. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წინაშე.

d. საქართველოს მთავრობის წინაშე;

Question 15

დიდ ბრიტანეთში დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის ფუნქციები დაკისრებული აქვს

Select one:

a. ქვეყნის ცენტრალურ ბანკს;

b. ფინანსთა სამინისტროს;

c. ქვეყნის მთავრობას.

d. მრეწველობისა და ვაჭრობის დეპარტამენტს;